ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობოსთვის მებრძოლთა 71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე

(ს.კ 01.19.20.004.062)

დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის

უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28

იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

დამკვეთი: შპს ,, ვიენ დეველოპმენტი“

პროექტის მთავარი არქიტექტორი: ივანე მირცხულავა

ექსპერტი: ირინე ანთელავა

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობოსთვის მებრძოლთა 71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.20.004.062) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის „ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

- დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასებას
- კონსტრუქციის ტიპების შეფასებას
- შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასებას
- მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასებას
- ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასებას
- ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასებას
- ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასებას
- გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი საშუალებების შეფასებას
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მისაწვდომობის შეფასებას
- ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასებას
- წყალსადენი სისტემების შეფასებას
- შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასებას
- გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას
- სახურავის ანაწყობების შეფასებას

საექსპერტო დასკვნის შესადგენად ექსპერტიზისათვის გადმოცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

- ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის ობიექტის თაობაზე (აღნიშნული მოიცავს: თავფურცელს; ფურცლების ჩამონათვალს; პირობით აღნიშვნებს; დაგეგმარების მიზნის აღწერას; შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს)
- შენობა-ნეგებობის ტექნიკურ მაჩვენებლებს
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას –1:500 მ
- მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი მიწის ნაკვეთის გეგმა (გენგეგმა)
- შენობა-ნაგებობების განთავსებასა და სიმაღლეებს
- გეგმებს, ჭრილებს, ფასადებს
- დეტალების ფრაგმენტულ ნახაზებს
- დაკავებულობისა და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; მისაწვდომობის სვლაგეზს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს; გამოყენებულ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებს)
- შენობის ვიზუალიზაციას

შენიშვნა:

- *საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებული არქიტექტურული პროექტის შსაბამისად;*
- *მოცემული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე;*
- *დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.*
- *შენობის ელემენტების, კომპონენტების ან ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი შესაბამისი ტესტის პროცედურების ან წესების მიხედვით უნდა განისაზღვროს. თუ მასალები, სისტემები ან მექანიზმები, რომლებიც არ შემოწმებულა როგორც ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ანაწყობის ნაწილი და ჩართულია შენობის ელემენტში, კომპონენტში ან ანაწყობში, მაშინ მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოსთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკმარისი მონაცემები, რომლებიც ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს ადასტურებს. ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შენობის ელემენტებში, კომპონენტებში ან ანაწყობებში გადაბმებისა და გაყვანილობების დასაცავად გამოყენებული მასალები და მშენებლობის მეთოდები არ უნდა ამცირებდეს ცეცხლმედეგობის მოთხოვნილ ხარისხს. შენობის ელემენტებისთვის, კომპონენტების ან ანაწყობებისთვის მოთხოვნილი ცეცხლმედეგობა დასაშვებია განისაზღვროს 721-ე და 722-ე ქვეთავების შესაბამისად.*
- *სახანძრო განგაშის სისტემის სამუშაო ნახაზები განსახილველად უნდა წარედგინოს სისტემის*

დაყენებამდე. სამშენებლო დოკუმენტები უნდა შეიცავდეს შემდეგ (მაგრამ არა მხოლოდ) ინფორმაციას: 1. იატაკის გეგმა, რომელშიც მითითებულია ყველა ოთახის გამოყენება/დანიშნულება; 2. სიგნალის გამომცემი მექანიზმების მდებარეობა; 3. განგაშის შეტყობინების მოწყობილობების მდებარეობა, მათ შორის, კანდელას (სინათლის ძალის ერთეული) ხარისხები ვიზუალური განგაშის შეტყობინების დანადგარებისათვის; 4. სახანძრო განგაშის საკონტროლო ერთეულის მდებარეობა, ტრანსპონდერები და შეტყობინების ელექტრომომარაგება; 5. გამოსაცხადებელი მოწყობილობა; 6. ელექტროკავშირები; 7. ბატარეებთან დაკავშირებული გამოთვლები; 8. გამტარის ტიპი და ზომები; 9. ვოლტაჟის ვარდნასთან დაკავშირებული გამოთვლები; 10. მწარმოებლების მონაცემების საცნობარო ფურცლები, რომლებიც შეიცავს მოდელის ნომრებსა და მოწყობილობის, მექანიზმებისა და მასალების შემოწმების შესახებ ინფორმაციას; 11. ჭერის სიმაღლისა და კონსტრუქციის დეტალები; 12. სახანძრო უსაფრთხოების მაკონტროლებელი ფუნქციების თანაქმედება; 13. საზედამხედველო სადგურის კლასიფიცირება.

- *სახანძრო სახელოების შემაერთებელი თავაკები (რომლებიც გამოყენებული იქნება სახანძრო მილდგარების სისტემის მისაერთებლებთან), ხანძრის მართვის ცენტრის მდებარეობა და მისადგომი, აგრეთვე სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი შეთანხმდეს სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან.*
- *სათადარიგო/საავარიო ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს:*

  - განიავების და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი სისტემები;

  - ლიფტი და ლიფტის კაბინის განათება;

  - გასასვლელების ნიშნების და გასასვლელი საშუალებების განათება მე-10 თავის მოთხოვნათა შესაბამისად;

  - საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები;

  - სახანძრო განგაშის სისტემები;

  - ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები).

- *მექანიკური მოწყობილობის აღიარებამდე, სისტემა უნდა შემოწმდეს მშენებლობის ნებართვის გამცემი/ზედამხედველი ორგანოს თანდასწრებით, რომელმაც უნდა დაადასტუროს , რომ სისტემა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.*
- *სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო- კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“-ს მოთხოვნათა დაცვით.*
- *უსაფრთხოების ზომები მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად.*

გადმოცემული მასალა აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების 47 მუხლით განსაზღვრულ არქიტექტურული პროექტის შემადგენლობას და სრულად იძლევა ზემოაღნიშნული ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობას.

გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა:

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ობიექტი მდებარეობს - ნაკვეთს სამი მხრიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე, ხოლო დასავლეთიდან კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები; საპროექტო შენობა წარმოდაგენს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს - 9 მიწისზედა და ერთი მიწისქვეშა სართულით; მინუს სართულზე განთავსებული იქნება ავტოსადგომები; 0.00 ნიშნულზე კომერციული ფართი, ხოლო დანარჩენ 8 მიწისზედა სართულზე - საცხოვრებელი ბინები. შენობას აქვს ორი გზა-კიბე და ერთი სამგზავრო ლიფტი; კონსტრუქციული გადაწყვეტით შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასს, რომლის შემკრავი ელემენტები იქნება კოლონები, რიგელები და დიაფრაგმები. არქიტექტურული გადაწყვეტით ფასადების მოსაპირკეთებლად გამოყენებულია დეკორატიული აგური, ბუნებრივი ქვა ტრავერტინი, ფასადის ძირითადი ნაწილის იქნება მოპირკეთებული ხოლო შიდა ნაწილზე მოხდება დეკორატიული ღესვა და შეღებვა წყალმედეგი საღებავით. აივნის მოაჯირები მოწყობილი იქნება ლითონის და მინის მოაჯირებისგან გარე ფასადის კარფანჯარა მიწისპირა სართულზე და სადარბაზოს შესასვლელებში იქნება ალუმინის, ხოლო საცხოვრებელი ბინების გარე კარფანჯარა იქნება მეტალოპლასტმასის; შენობის გადახურვა იქნება ბრტყელი და მოეწყობა ჰიდროიზოლაციის შრე და დაფარული იქნება ბიტუმის ფენილით, დახრის მაქსიმალური პროცენტულობა იქნება 2 %. წყლის გადაყვანის ორგანიზება მოხდება შენობის უკაანა ფასადზე და მოწყობილი იქნება წყალსარინი მილები. საპროექტო შენობა სრულად ადაპტირებული იქნება შშმ - პირებისათვის, როგორც შიდა საპროექტო ტერიტორია ასევე მისასვლელი საფეხმავლო ტროტუარი; ავტოსადგომზე მოეწყობა ავტოსაშხეფი სისტემა; შესაბამისად გათვალისწინებულია წყლის ავზის, სატუმბი და ასევე გენერატორის ოთახების მოწყობა;

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის ჯგუფი შეესაბამება 302-ე ქვეთავს.

პროექტში გამოყენებულია შემდეგი დაკავებულობები:

- **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი 2 სწ-2** (ავტოსადგომი -3.30; 0.00 ნიშნულზე -3.30 ნიშნულზე ტუმბოს, ავზის და გენერატორის ოთახები, მრიცხველების ოთახები
  +3.50 - +23.30 ნიშნულებზე) – შეესაბამება 311.3 პუნქტს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება - ღია ან შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები; მშრალი ელექტროელემენტების, ელექტროძრავის და სხვათა შესანახად გათვალისწინებული სათავსები.
- **სავაჭრო ჯგუფი სვ** (სავაჭრო ფართი 0.00 ნიშნულზე) - შეესაბამება 309 ქვეთავს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება ისეთი სივრცეები, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის.
- **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები +3.50 - ~~6~~26.0 ნიშნულებზე) – შეესაბამება 310.4-ე პუნქტს, რომლის თანახმად ამ ჯგუფს განეკუთვნება - მრავალბინიან სახლები;

რაც შეეხება დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორს, პროექტის მიხედვით, თითოეული სივრცისთვის მინიჭებული მაჩვენებელი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:

- **სწ-2 ჯგუფისთვის**
  აქედან:
  ავტოსადგომისთვის ----------18.6 მთლიანი
  ტექნიკური ფართებისთვის----------27.9 მთლიანი
- **სვ ჯგუფისთვის** ----------2.8 მთლიანი
- **სც-2 ჯგუფისთვის** ----------18.6 მთლიანი

ზემოაღნიშნული ფაქტორის მიხედვით არის შემდგომ დაანგარიშებული დაკავებულობის დატვირთვა თითოეული სივრცისთვის (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე) და მიღებულია შემდეგი მაჩვენებლები:

სც-2 ჯგუფისთვის:

- +3.50 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +6.80 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +10.10 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +13.40 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +16.70 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +20.00 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +23.30 ნიშნულზე – 506.7კვ.მ/18.6დ.დ.ფ=27დ.დ.
- +26.60 ნიშნულზე – 511.4კვ.მ/18.6დ.დ.ფ=28დ.დ.

სწ-2 ჯგუფისთვის:

- -3.30; 0.00 ნიშნულზე ავტოსადგომი -653.1კვ.მ/18.6დ.დ.ფ=36დ.დ
- -3.30 ტუმბოს და ავზის ოთახი -23.4კვ.მ/27.9დ.დ.ფ=1დ.დ
- -3.30 გენერატორის ოთახი - 17.6კვ.მ/27.9დ.დ.ფ=1დ.დ
- +3.50 – +23.30 მრიცხველის ოთახები - სართულზე 2.8კვ.მ/27.9დ.დ.ფ=1დ.დ

სვ ჯგუფისთვის:

- +0.00 სავაჭრო სივრცე - 407.4კვ.მ/2.8დ.დ.ფ=146დ.დ

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი შერჩეულია ფართობისა და სიმაღლის გათვალისწინებით და ობიექტების კონსტრუქციის ტიპად მიღებულია I – B.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების, სახურავის კონსტრუქციის და არაძირითადი ნაწილების მინიმალური ცეცხლმედეგობის ხარისხები უნდა განისაზღვროს 601-ე ცხრილის შესაბამისად შემდეგი სახით:

  - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო ---------- 2 სთ.
  - შიგა და გარე მზიდი კედლები ---------- 2 სთ.
  - იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 2 სთ.
  - სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები ---------- 1 სთ.

- რაც შეეხება შენობების გარე არამზიდ კედლებს, პროექტით დაცულია ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რომელიც სრულად შეესაბამება 602-ე ცხრილის მოთხოვნებს.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- წარმოდგენილი დაკავებულობების და კოსნტრუქციული ტიპის (**I -B**) გათვალისწინებით საპროექტო შენობის სიმაღლე (შესაბამისად სართულიანობა) და ფართობი აკმაყოფილებს 503 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობის სიმაღლე მიწის დონიდან არის 29.90 მეტრი, ხოლო ყველაზე მაღალი დაკავებული იატაკები მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან +26.60 მ-ზე ანუ 23.00 მ-ზე მაღლაა და 37.00 მეტრზე დაბლა, შესაბამისად საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივ კატეგორიას;

4. მაღლივი შენობისადმი მოთხოვნების შეფასება:

- თანახმად 403.3 პუნქტის მესამე გამონაკლისისა, ვინაიდან შენობა 37 მეტრზე დაბალია არ საჭიროებს მთელ შენობაში ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობას;
- კვამლაღმომჩენები შენობაში განთავსდება 907.2.13.1 ქვეთავის შესაბამისად, თანახმად 403.4.1 პუნქტისა.

- სახანძრო განგაშის სისტემა შენობაში მოეწყობა 907.2.13 ქვეთავის შესაბამისად, თანახმად 403.4.2 პუნქტისა.
- საპროექტო შენობა აღიჭურვება 905.3 ქვეთავის შესაბამისი მილდგარების სისტემით, თანახმად 403.4.3 პუნქტისა.
- საპროექტო შენობაში საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა მოეწყობა 907.5.2.2 პუნქტის შესაბამისად, თანახმად 403.4.4 პუნქტისა.
- საპროექტო შენობა აღიჭურვება ბუნებრივი სანიავებელი სისტემით, რაც წარმოადგენს ხელით გასაღებ ფანჯრებსა და კარის ღიობებს, რომელიც განთავსდება პერიმეტრის ყოველ 15 მეტრში. ასეთი გამოსაღები ღიობის ფართობი პერიმეტრზე, ყოველ 15 მეტრში აღემატება 3,7 კვ.მ.-ს, რაც შეესაბამება 403.4.6 პუნქტის მოთხოვნას. რაც შეეხება მიწისქვეშა შემოზღუდულ ავტოსადგომს, აღიჭურვება კვამლის გაწოვის მექანიკური სისტემით.
- წარმოდგენილი პროექტით სათადარიგო ელ. სისტემას შენობაში წარმოადგენს გენერატორი, რომელიც განთავსებულია ოთახში, რომელიც შემოსაზღვრულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით და თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება 403.4.7.1 პუნქტის მოთხოვნას.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეები ერთმანეთისაგან გამიჯნულია 9,0 მეტრზე მეტად, თანახმად 403.5.1 პუნქტისა და ამასთანავე კიბეებში შემავალ გზა-კარს შორის მანძილი შეესაბამება 1015.2.1 პუნქტის მოთხოვნას ღია და შემოზღუდული ავტოსადგომების დონეებზე, ხოლო საცხოვრებელი ბინების სართულებზე აღნიშნული გამიჯვნა დაკმაყოფილებულია 1015.2.1 პუნქტის 1-ლი გამონაკლისის შესაბამისად, კერძოდ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის დერეფნით, დერეფნის ფარგლებში ყველაზე მოკლე პირდაპირი ხაზის გასწვრივ.
- გზა-კიბეები შეესაბამება 909.20 და 1022.10 ქვეთავების მოთხოვნებს, თანახმად 403.5.4 პუნქტისა.

5. ავტოსადგომებისადმი მოთხოვნების შეფასება:

პროექტი ითვალისწინებს შენობაში -3.30 და 0.00 ნიშნულზე შემოზღუდულ ავტოსადგომს.

- შემოზღუდულ ავტოსადგომში პროექტით გათვალისწინებულია 19 (ცხრამეტი) ავტოსადგომის მოწყობა.
- შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც აკმაყოფილებს 406.6.2 პუნქტის მოთხოვნას.
- შემოზღუდული ავტოსადგომები უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, თანახმად 406.6.3 პუნქტისა.
- ავტოსადგომების ზომები შეადგენს 2.5 x 5.5მ. და 6.0 x 3.5მ. ,რაც აკმაყოფილებს 406.9.4.3.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- ავტომობილებისთვის და ფეხით მოსიარულეთათვის გათვალისწინებული ფართის თავისუფალი სიმაღლე არ არი 2.15 მეტრზე ნაკლები;

- ვინაიდან ავტოსადგომზე გათვალისწინებული ავტომობილების რაოდენობა ჯამში არ აღემატება 50-ს, ავტოსადგომთან მიდგომა ხდება ცალმხრივი საავტომობილო პანდუსით, 406.9.4.7 პუნქტის გამონაკლისის შესაბამისად. პანდუსის სიგანე უტოლდება 3.5 მეტრს 406.9.4.1 პუნქტის შესაბამისად;
- პანდუსის მოხვევის შიგა რადიუსი უტოლდება 4.5 მეტრს , ხოლო გზის მოხვევის შიგა რადიუსი არის 3.5 მეტრი - რაც აკმაყოფილებს 406.9.4.2 პუნქტის მოთხოვნას.
- პროექტით გათვალისწინებული შშმ პირთათვის ავტოსადგომების გაბარიტული ზომები უტოლდება 4.0 x 6.0მ- ს. მისაწვდომი ავტოსადგომის რაოდენობა შეესაბამება 1106.1-ე ცხრილის მოთხოვნას, ხოლო გაბარიტული ზომები - ICC სტანდარტს.
- ავტომობილისთვის განკუთვნილ თითოეულ ადგილს აქვს ინდივიდუალური და მარტივი მისადგომები, რაც შეესაბამება 406.9.4.5-ე პუნქტის მოთხოვნას.
- ავტოსადგომზე ავტომობილებისთვის განკუთვნილი ადგილები დახაზულია - 406.9.4.6 პუნქტის შესაბამისად;

6. ცეცხლისა და კვამლისაგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მანძილზე მეტად.
- საპროექტო შენობაზე განთავსებული ღიობები გამიჯნულია შვეულად 1 საათიანი ცეცხლმედეგობის გარე კედლით - 0,9 მეტრზე მეტად, ხოლო შენობის გარკვეულ ნაწილებში ღიობები შვეულად ერთმანეთისგან გამიჯნულია 0.76 მეტრზე მეტრი ალის ზღუდარებით, რომელთა ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 1 საათით, ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 705.8.5 პუნქტს.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს;
- შენობა ითვალისწინებს პარაპეტს 705.11 პუნქტის შესაბამისად;
- საცხოვრებელი ერთეულების გამმიჯნავი, დერეფნის და ლიფტის ფოიეს გამმიჯნავი კედლების ანაწყობები ცეცხლმედეგი ტიხრებს წარმოადგენდეს, რაც შეესაბამება 708.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ცეცხლმედეგი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, რაც შეესაბამება 708.3 პუნქტის მოთხოვნას.
- ყველა სართულის დონეზე დერეფნების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეესაბამება 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს;
- ლიფტის შახტისაგან შენობის ფართობის გამმიჯნავი კედელი წარმოადგენს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეს, რაც შეესაბამება 713-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- ლიფტის ფოიეს რომელიც მოიცავს თავშესაფრის ფართობს, მისი შემომზღუდავი უნდა იყოს კვამლგაუმტარი ზღუდე და აიგოს 709 ქვეთავის შესაბამისად; მასში გაჭრილი კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 20 წუთს, რაც შეესაბამება 713.14.1 და 716.5.3 პუნქტების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ლიფტის ფოიეს შემომზღუდავში გამავალი არხები და ჰაერცვლის ღიობები 717.5.4.1 ქვეთავის შესაბამისად დაცული დერეფნების მსგავსად უნდა იქნეს დაცული.

- საპროექტო შენობაში არსებული საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან 420.2 ქვეთავის შესაბამისად გამიჯნული უნდა იყოს ცეცხლმედეგი ტიხრებით, რომლის ცეცხლმედეგობის ხარისიხი არის 1 საათი, რაც პროექტში გათვალისწინებულია და აკმაყოფილებს 708.3 ქვეთავის მოთხოვნებს, ცეცხლმედეგ ტიხრებში მოწყობილი ღიობების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 20 წუთს, თანახმად 716.5 პუნქტის მოთხოვნისა.

- სწ-2, სვ და სც-2 ჯგუფები გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით და თარაზული ანაწყობებით - რაც შეესაბამება 508.4 ცხრილის მოთხოვნებს;

- ავტოსადგომის სართულზე შენობიდან კიბის ვესტიბიულში კარის ცეცხლმედეგობა უტოლდება 90 წუთს, ხოლო ვესტიბიულიდან გზა-კიბეზე გამავალი კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 20 წუთით, რაც შეესაბამება 909.20.4.1 პუნქტის მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ ვესტიბიულის მომსახურე კარის ღიობები უნდა დააყენონ NFPA 105-ის შესაბამისად.

- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების მომსახურე ღიობების ფართობი ან/და პროცენტულობა არ იზღუდება, თანახმად 707.6 პუნქტის მე-2 გამონაკლისისა.

- კიბის უჯრედები დანარჩენი სივრცეებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე ზღუდეებით სადაც მოწყობილია 90 წთ-იანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს 1009.3.1.2 ქვეთავის და 716.5 ცხრილის მოთხოვნებს;

- შენობებში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება 713.4. ქვეთავის მოთხოვნებს;

7. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

❖ ავტოსაშხეფი სისტემა:

- იმის გათვალისწინებით, რომ სც-2 ჯგუფის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების სიმაღლე არ აღემატება 37 მეტრს, სც-2 ჯგუფის დაკავებულობები არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.

- სვ ჯგუფის დაცული ფართობი 903.2.7 ქვეთავის შესაბამისად არ საჭიროებს ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვას.

- -2.80 ნიშნულზე არსებული ავტოსადგომები საჭიროებს ავტოსაშხეფი

სისტემით აღჭურვას, რაც საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია.

შენიშვნა:
ავტოსაშხეფი სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 903.3.1-903.3.6 ქვეთავების შსაბამისად;

❖ **სახანძრო მილდგარების სისტემა:**

- 905.3.1 პუნქტის თანახმად III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.

- მილდგარების სახელოს მისაერთებლები განთავსდება 905.4 და 905.5 პუნქტების შესაბამისად, კერძოდ: ყველა გზა-კიბის შუალედურ ბაქანზე (თუმცა აღნიშნული შეთანხმებული უნდა იყოს სახანძრო-სამაშველო სამსახურთან) და ისეთი განლაგებით, რომ 30 მეტრის სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან, 9,0 მეტრის საზღვრებში ოქცეს შენობის ყველა ნაწილი.

შენიშვნა:
სისტემის მოწყობა უნდა მოხდეს 905 ქვეთავის შესაბამისად

❖ **ხელის ცეცხლმაქრები:**

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსდება ყველა სართულზე თანახმად 906 თავის შესაბამისად;

- ცეცხლსაქრობები განთავსებულია ისეთი ადგილმდებარეობით, რომ მათთან მიდგომა შენობის ნებისმიერი მონაკვეთიდან არ საჭიროებს 23 მეტრზე მეტ მანძილს

შენიშვნა: ზემოაღნიშნულის მოწყობა უნდა მოხდეს 906 ქვეთავის შესაბამისად

❖ **სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:**

- მთელი შენობა აღჭურვილია სახანძრო განგაშის ხელით სამართავი კოლოფებით, რომელმაც უნდა გააქტიუროს დამკავებელთა შეტყობინების სისტემა, რაც შეესაბამება 907.2.9.1 პუნქტის მოთხოვნას.

- სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში, კერძოდ თითოეული სამინებელი ფართობის ჭერზე განთავსდება კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთ და მრავალბლოკიანი მოწყობილობები, თანახმად 907.2.11.2 პუნქტისა.

- კვამლაღმომჩენები 907 ქვეთავის მიხედვით გათვალისწინებულია ავტოსადგომში, დერეფნებში და ლიფტის სამანქანოში. კვამლის ავტომატურმა აღმომჩენმა უნდა გააქტიუროს სახანძრო განგაში რაც შეესაბამება 909.21.6 ქვეთავის მოთხოვნას.

- მხედველობითი განგაშის შეტყობინების მოწყობილობები განთავსებულია ავტოსადგომებზე და დერეფნებში, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 პუნქტის მოთხოვნას.

- ელექტრომოწყობილობების და ყველა ლიფტის ფოიეში გათვალისწინებულია კვამლაღმომჩენები,, რაც შეესაბამება 907.2.13.1.1 ქვეთავს;

- 907.5.2.2 ქვეთავის შესაბამისად შენობაში მოწყობილია საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემა; რუპორები განთავსებულია ყველა სართულზე: ლიფტებთან, გასასვლელის გზა-კიბეებში, თავშესაფრის ფართობებზე.

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 907 ქვეთავის შესაბამისად;

❖ კვამლის საკონტროლო სისტემები:

- ორივე გზა-კიბის მომსახურე ვესტიბიულის ზომა აკმაყოფილებს 909.20.1 ქვეთავს. სხვა ფართებისგან გამიჯნულია ცეცხლმედეგი - 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ზღუდეებით,
- ჰაერის შემწოვ-გამწოვი ხვრელები/მოწყობილობები ისე უნდა განთავსდეს, რომ შენობის იმ ნაწილს, სადაც ცეცხლი არაა გავრცელებული, არ შეუქმნას ხანძრის დამატებითი საფრთხე. (შენობის) გარეთ მდებარე ჰაერშემწოვი ხვრელები ისე უნდა განთავსდეს, რომ მინიმუმამდე შემცირდეს კვამლისა და ცეცხლის ალის შენობაში შეღწევის შესაძლებლობა. გამწოვი ხვრელები ისე უნდა განთავსდეს, რომ კვამლის შენობაში შებრუნების შესაძლებლობა და შენობისა და მომიჯნავე შენობებისათვის ხანძრის დამატებითი საფრთხე მინიმალური იყოს.
- ავტომატური ფარსაკეტები, რა დანიშნულებითაც არ უნდა იყოს დაყენებული კვამლის კონტროლის სისტემაში, ავტომატური ფარსაკეტები შეტანილი უნდა იყოს ნუსხაში და შეესაბამებოდეს მისაღებ, აღიარებულ სტანდარტებს.

შენიშვნა: სისტემები უნდა მოეწყოს 907 და 909 ქვეთავების შესაბამისად;

❖ სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი.
- მისაერთებელთან დაცულია 0,8მ.X0.9მ. თავისუფალი სივრცე, რაც შეესაბამება 912.3.2 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებელი უნდა მოეწყოს 913 ქვეთავის შესაბამისად

❖ სახანძრო ტუმბოები:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია ოთახში, რომელიც შენობის სხვა ფართობისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდითა და თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება 913.2.1 პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა: სახანძრო ტუმბოებთან დაკავშირებით დაცულ უნდა იქნეს 913 ქვეთავის მოთხოვნები;

8. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- საპროექტო შენობა, თავისი სართულიანობის, დაკავებულობის დატვირთვის და გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის მიხედვით, წესების 1021.2 ცხრილის შესაბამისად საჭიროებს ორი გასასვლელი გზა კიბის მოწყობას, რაც პროექტით გათვალისწინებულია.
- შენობას ემსახურება ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.
- სავაჭრო სივრცეს ემსახურება სამი გზა-კარი;
- +23.30 ნიშნულზე მდებარე ბინები - #69 და #75 დუპლექსებია და ადის +26.60 ნიშნულზე, ორივე ბინა მოიცავს ტერასას, რომელიც შესულია სც2-ის დაკავებულობაში; ვინაიდან აღნიშნული თითოეული ბინის დაკავებულობა აღემატება 10-ს 1015.1 ცხრილის შესაბამისად ბინას ესაჭიროება ორი გასასვლელი, შესაბამისად, გასასვლელი გზა-კარები განაწილებულია ორივე ნიშნულზე; გამომდინარე აქედან საერთო სავალი ბილიკი არ აღემატება 23 მეტრს - რაც შესაბამისობაშია 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- კიბის უჯრედებში შემავალ კარის ღიობებს შორის დაშორება შეადგენს სართულის ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალური სიგრძის ნახევარზე მეტ მანძილს 1015.2.1 ქვეთავის შესაბამისად;
- შენობაში გათვალისწინებული ორივე კიბე, 0.00 ნიშნულზე შენობიდან გადის პირდაპირ გარეთ;
- გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1005.3.1 პუნქტის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით. გზა კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 7.6მმ ფაქტორი. გამოთვლის შედეგად მიღებულია დასაშვებზე (1009.4 პუნქტით განსაზღვრულ 1.1 მეტრზე) ნაკლები სიგანის გზა-კიბე, თუმცა კიბეების თითო მარშის სიგანე (სახელურებს შორის) შეადგენს 1.20 მ-ს, რაც ჩაითვლება მოსაწვდომ კიბედ, თანახმად 1007.3-ე პუნქტისა.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 პუნქტის მოთხოვნებს.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე პუნქტის მოთხოვნებს.
- გასასვლელისკენ სავალი საერთო ბილიკები აკმაყოფილებს 1014.3 ცხრილის მოთხოვნებს.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულზე აკმაყოფილებს 1016.2-ე ცხრილით გათვალისწინებულ ნორმებს.
- ყველა დაკავებული სივრცის გასასვლელის და გასასვლელთან მისადგომის გზა- კარის რაოდენობა და მდებარეობა შეესაბამება 1015-ე ქვეთავს.
- თანახმად 1005.3.2-ე პუნქტისა, დერეფნების გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. დერეფნების

სიგანე ყველა სართულზე აკმაყოფილებს, როგორც 1018.2-ე ცხრილით მოცემულ, ისე 1005.3.2-ე პუნქტის მიხედვით გამოთვლილ მაჩვენებლებს.

- დერეფნები ისეა დაგეგმარებული, რომ არ წარმოიქმდება 6მ-ზე გრძელი ჩიხები, რაც აკმაყოფილებს 1018.4-ე პუნქტის მოთხოვნას.
- ყველა დერეფანი უწყვეტია და გასასვლელი საშუალებების აუცილებელი ტევადობა არ მცირდება გასასვლელისაკენ სავალი გზის გასწვრივ.
- თანახმად 1005.3.2-ე პუნქტისა, შენობაში გათვალისწინებული ყველა კარის გამტარუნარიანობის (სმ-ში) გამოსათვლელად თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებელი გამრავლებულია გამტარუნარიანობის 5.1 მმ ფაქტორზე. არცერთი კარის სუფთა სიგანე არ არის 0.82მ-ზე ნაკლები (გარდა საცხოვრებელი ერთეულებში შიგა კარის ღიობებისა) და ყველა კარი ამავდროულად აკმაყოფილებს 1005.3.2-ე და 1005.6 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
- ყველა გასასვლელ კარს ემსახურება გასასვლელი ნიშანი, რაც შეესაბამება 1011.1 ქვეთავს; ნიშნების განათებულობა გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებით და ბრაილით წარწერა ,,გასასვლელი/exit“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავს;
- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, ასევე ამობურცული სიმბოლოებით და ბრაილით მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ ყველა ბაქანზე;

9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის მისაწვდომობის შეფასება:

- საპროექტო შენობა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის (შშმპ) შენობის ყველა სივრცეში მისაწვდომობას.
- შენობის მთავარი შესასვლელების 60% მისაწვდომია, თანახმად 1105.1 პუნქტისა;
- გრუნტი და გზა-კიბიდან გამოსასვლელის იატაკი განთავსებულია ერთი და იმავე დონეზე, შესაბამისად შესასვლელად პანდუსის მოწყობა საჭირო არ არის
- პროექტის ყველა გეგმაზე ასახულია მისაწვდომი სვლა გეზი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ პირთა მისაწვდომობას შენობის ყველა სართულზე.
- შენობაში განთავსებული საცხოვრებელი ერთეულის ორ პროცენტზე მეტი წარმოადგენს „ა“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენილი „ბ“ ტიპის ერთეულს, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესაბამისად
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე ლიფტი მისაწვდომია და აკმაყოფილებს

,,მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს;

- ავტოსადგომი უზრუნველყოფილია 1106ქ ხრილის შესაბამისი მისაწვდომი სივრცეებით.
- მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება ორი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 პუნქტის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ გზა-კიბეებს და ლიფტს რაც შეესაბამება 1007.2 პუნქტის მოთხოვნას.
- გზა-კიბეების თავისუფალი სიგანე სახელურებს შორის უტოლდება 1,2მეტრს, რაც შეესაბამება 1007.3 პუნქტის მოთხოვნას.
- ორმხრივი კავშირის სისტემა მოწყობილია გზა-კიბის და სახანძრო-სამაშველო ლიფტების ფოიეს საზღვრებში თავშესაფრის ფართობთან, რაც აკმაყოფილებს 1007.8 და 1007.6.3 ქვეთავების მოთხოვნას. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ადგილსა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იქ, სადაც ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს სინქრონული, ავტომატური ტელეფონის ციფრების დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ გზა-კიბის საზღვრებში.
- თავშესაფრის ფართობთან გამავალ კართან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“. ასეთი ნიშანი განათებულია. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1007.9 ქვეთავის მოთხოვნას.
- თავშესაფრის ფართობთან მოწყობილია ნიშანი, თავშესაფრის ფართობის გამოყენების წესების მითითებებით, რაც შეესაბამება 1007.11 ქვეთავს;

10. ლიფტებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- შენობას გააჩნია ერთი ლიფტი, რაც შეესაბამებაა 1702.1 ქვეთავს;
- ლიფტის შახტი შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, (2 საათიანი ცეცხლმედეგობით) 1702.1 ქვეეთავის შესაბამისად, ხოლო მისი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას;
- სტანდარტულ ლიფტს შემოზღუდული ფოიე აქვს ყველა სართულზე, რაც შეესაბამება 713.14.1 ქვეთავს; ფოიე მომიჯნავე ფართებისგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ტიხრებით, ხოლო აღნიშნულ ტიხარში გამოჭრილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 20 წუთით;

- საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ორი ლიფტი, აღნიშნული ლიფტების ფოიე უშუალოდ უკავშირდება შიგა გასასვლელ გზა-კიბეს.
- რადგან ლიფტი გამოყენებული უნდა იყოს როგორც მისაწვდომი გასასვლელი საშვალება, გათვალისწინებული და დაცული უნდა იყოს 1703 ქვეთავის შესაბამისად საგანგებო ვითარების რეჟიმის მოთხოვნები; ლიფტის შახტა უზრუნველყოფილია საჰაეროთი, რომლისგან კვამლი და ცხელი აირები გარეთ გაიწოვება, რაც შეესაბამება 1704.1 პუნქტის მოთხოვნას.
- ლიფტის შახტებში გათვალისწინებულია საჰაეროები (ლიფტის შახტის თავზე), რომელთაგან ხანძრისას კვამლი და ცხელი აირები გაიწოვება გარეთ. თითოეული სააეროს ფართობი უტოლდება 0.3 კვ.მ-ს;

11. წყალსადენი სისტემების შეფასება:

შენობაში გათვალისწინებული წყალსადენი სისტემების რაოდენობა სწორად არის განსაზღვრული და მათი რაოდენობა სრულად აკმაყოფილებს 1602.1 ცხრილის მოთხოვნებს, შესაბამისი სახით:

- სწ-2 ჯგუფისთვის :ვინაიდან 3.30 ნიშნულზე მდებარე სწ-2 ჯგუფის მქონე ფართი წარმოადგენს ავტოსადგომს, აღნიშნულ სივრცეებში აუცილებელი არ არის საზოგადოებრივი ტუალეტების მოწყობა, თანახმად 1602.3-ე პუნქტის გამონაკლისისა.
- იმის გათვალისწინებით, რომ წყლის ავზის, სახანძრო ტუმბოს, გენერატორის და მრიცხველების ოთახები წარმოადგენს ძირითადი ფუნქციის დამხმარე- ტექნიკურ ოთახებს, რომლებიც არ იქნება მუდმივად დაკავებული, აღნიშნული ფართებისათვის არ არის გათვალისწინებული ცალკე წყალსადენი სისტემების მოწყობა;

  სვ ჯგუფისთვის :

- 0.00 ნიშნულზე სავაჭრო ფართებში გათვალისწინებულია ტუალეტები. ხელსაბანითა და უნიტაზით, რომელიც ასევე წარმოადგენს მისაწვდომ ტვალეტს;
- სავაჭრო ფართებში ასევე გათვალისწინებულია წყლის დასალევი დისპენსერის და სამომსახურეო ნიჟარის მოწყობა.

  სც-2 ჯგუფისთვის:

- ყველა ბინას გააჩნია ინდივიდუალური ტუალეტი, თითო უნიტაზით, ხელსაბანით და აბაზანით.
- თითოეულ ბინაში ასევე გათვალისწინებულია სამზარეულოს ნიჟარის და ასევე ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებელის მოწყობა. ყოველივე ზემოაღნიშნული აკმაყოფილებს 1602.1-ე პუნქტის მინიმალურ მოთხოვნებს.

12. შიგა გარემოსადმი მოთხოვნების შეფასება:

- ყველა გამოყენებული სივრცე ნიავდება ბუნებრივი და მექანიკური განიავებით, რაც შეესაბამება 1203-ე ქვეთავს. აქედან:

  ბუნებრივად ნიავდება:

  - საცხოვრებელი ბინები;

  - სავაჭრო ფართი;

  - მრიცხველების ოთახები;

- ბუნებრივი განიავების მიზნით მოწყობილი ღიობების მინიმალური ფართობი გაღებულ მდგომარეობაში არ არის გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 1203.4.1 პუნქტის მოთხოვნას.

- მექანიკურად ნიავდება:

  - დერეფნები;

  - ლიფტები;

  - ლიფტის ფოიეები

  - კიბის უჯრედები;

  - ტუალეტის და სააბაზანო ოთახები;

  - 3.30 ნიშნულზე ავტოსადგომი;

  - სახანძრო ტუმბოს, წყლის ავზის და გენერატორის ოთახები;

- ყველა სააბაზანო ოთახი ნიავდება მექანიკური განიავებით, თანახმად 1203.4.2.1-ე პუნქტისა.

- მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული ეზოები და შიგა ეზოები აკმაყოფილებს 1206.2-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

- წარმოდგენილი პროექტის გეგმების მიხედვით, ბინებში გათვალისწინებული საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა არ არის 2.2მ-ზე ნაკლები, რაც შესაბამისობაშია 1208.1 ქვეთავის მოთხოვნასთან.

- ბინებში, საცხოვრებელი ყველა ოთახის ფართი აკმაყოფილებს 1208.3 პუნქტის მოთხოვნას.

- ამასთან, სამზარეულოების სივრცეებში დატოვებული მინიმალური გასავლელი სიგანე შეესაბამება 1208.4-ე პუნქტის მოთხოვნას.

- წარმოდგენილი ჭრილების მიხედვით, საცხოვრებელი სივრცეებისა და დერეფნების ჭერის სიმაღლე არ არის 2,3მ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 პუნქტის მოთხოვნას.

13. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება:

- პროექტზე თანდართული ფასადების დეტალური ნახაზებიდან ირკვევა, რომ გარე საკედლე მასალად გამოყენებული ბლოკის წყობა.
- კედლების ნაწილი მოპირკეთდება აგურით, ნაწილი ბეტოპანის ფილებით, ხოლო დანარჩენი იღებება და ილესება;
- აივნებზე დამონტაჟდება ლითონის და მინის მოაჯირები რაც დასაშვებია 603.1 ქვეთავის შესაბამისად;

შენიშვნა:

- *ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.*

14. სახურავის ანაწყობების შეფასება:

- სახურავი ბრტყელია, მცირედი 2 %-იანი დახრით.
- სახურავზედა ნაგებობების (კიბის, ლიფტის, შახტების და სხვა ნაწილების) ფართობი არ აღემატება საყრდენი სახურავის ფართობის ერთ მესამედს, რაც აკმაყოფილებს 1509.2.2-ე პუნქტის მოთხოვნას.
- შენობა ითვალისწინებს პარაპეტს 705.11 პუნქტის შესაბამისად;
- სახურავის ბურულის მასალად გათვალისწინებულია ტოლი.
- სახურავზე მოწყობილია წყლის გამშვები ხვრელები და წყლის გადამყვანი მილები. წყლის გამშვები ხვრელის ზომა აკმაყოფილებს 1503.4.2-ე პუნქტის მოთხოვნას.

შენიშვნა:

- *სახურავის ბურული ხანძრის კლასიფიკაცია კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით უნდა განეკუთვნოს B კლასს, თანახმად ცხრილი 1505.1ა (B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას).*
- *ჰიდროიზოლაცია უნდა მოთავსდეს კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, წყალსადინარ არხებთან, სახურავის ქანობის ან მიმართულების შეცვლის ადგილებში/ლითონის ჰიდროიზოლაცია უნდა იყოს კოროზიამედეგი და, არანაკლებ, 0,5 მმ სისქისა.*
- *შენობების გარეთ მოთავსებული წყალარინი ღარები და მილები არაწვადი მასალით ან, სულ მცირე, 40 ზომის პლასტმასის მილებით უნდა აიგოს.*

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობოსთვის მებრძოლთა 71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.20.004.062) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან და პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ირინე ანთელავა:



მისაწვდომი სვლაგეზი:

საპროექტო მიწის ნაკვეთსა და საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-4 თავის დებულებებს. მისაწვდომი სვლაგეზი მოიცავს არაუმეტეს 1:20 დახრილ სავალ ზედაპირებს, კარებს, გზა-კარებს და ლიფტს, რაც შეესაბამება 402.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

1. **მისაწვდომი სვლაგეზის სავალი ზედაპირები შეესაბამება 403-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - იატაკის ზედაპირები არის მდგრადი, მყარი და არასრიალა, რაც შეესაბამება 302 ქვეთავის მოთხოვნას.

   - საზოგადოებრივი სივრციდან საპროექტო მიწის ნაკვეთის გავლით მოწყობილი სავალი ზედაპირის დახრილი სვლა არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, ხოლო სავალი ზედაპირის განივი დახრა არ აღემატება 1:48-ს, თანახმად 403.3 ქვეთავისა.

   - იატაკის ზედაპირებზე დონე არ იცვლება, შესაბამისად დაკმაყოფილებულია 303-ე ქვეთავის მოთხოვნა.

   - მისაწვდომი სვლაგეზის მინიმალური თავისუფალი სიგანე შენობაში უტოლდება 900 მმ-ს, ხოლო შენობის გარეთ - 1200 მმ-ს, რაც შეესაბამება 403.5.1 ქვეთავის მოთხოვნას.

   - სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 180 გრადუსიან ბრუნს თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.2.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

   - სადაც მისაწვდომი სვლაგეზი აკეთებს 90 გრადუსიან ბრუნს, თავისუფალი სიგანე მოსატრიალებელთან მიახლოებისას და მოსატრიალებლიდან მოშორებისას აკმაყოფილებს 403.5.3.1 ქვეთავით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს.

   - საპროექტო შენობაში მისაწვდომი სვლაგეზები მოიცავს გვერდასავლელ სივრცეებს, რაც შეესაბამება 403.5.4.1 ქვეთავის მოთხოვნას.

2. **კარები და გზა-კარები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 404-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებული ყველა გზა-კარის თავისუფალი სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები, რაც შეესაბამება 404.2.2 ქვეთავის მოთხოვნას.

- მისაწვდომ სვლაგეზზე არსებულ ყველა კართან და გზა-კართან უზრუნველყოფილია მანევრირებისათვის თავისუფალი სივრცე 404.2.3.2 ცხრილის შესაბამისად. მანევრირებისთვის აუცილებელ თავისუფალ სივრცეში, იატაკის ზედაპირი შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირი არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 404.2.3 და 404.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

- გზა-კარების ზღურბლების სიმაღლე არაუმეტეს 13 მმ-ია, რაც შეესაბამება 404.2.4 ქვეთავის მოთხოვნას. რაც შეეხება ამავე ქვეთავით განსაზღვრულ იატაკის დონეებს შორის ცვლილების საკითხს, კარებთან იატაკის დონეები უცვლელია.

- კარის კავეულის სიმაღლე მდებარეობს არაუმცირეს 860 მმ და არაუმეტეს 1200 მმ სიმაღლეზე, რაც შეესაბამება 404.2.6.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში, შვეულად გაზომვისას, კარების ზედაპირები გლუვია მიწოლის მხარეს და ასეთი გლუვი ზედაპირები კარის მთელ სიგანეზე გრძელდება. კარის კავეული და ნებისმიერი სხვა შემაფერხებელი ან გამოშვერილი ნაწილი, არ არის მოწყობილი იატაკიდან 250 მმ-ის საზღვრებში. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 404.2.9 ქვეთავის მოთხოვნებს.

3. **პანდუსები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია შეესაბამება 405-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

- პანდუსის დახრა არ არის 1/12-ზე მეტი, კერძოდ პანდუსების დახრის პროცენტულობა უტოლდება 8%-ს, რაც შეესაბამება 405.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- ქანობი, რომელიც იზომება პანდუსების სავალი მიმართულების პერპენდიკულარულად, არ აღემატება 1:48-ს, რაც შესაბამისობაშია 405.3 ქვეთავის მოთხოვნებთან.

- პანდუსების თავისუფალი სიგანე ბორდიურებს შორის უტოლდება 900 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.5 ქვეთავთან.

- პანდუსის თავსა და ბოლოში და ასევე შუაში უზრუნველყოფილია ბაქნები, ბაქნები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი და მათი ზედაპირები შეესაბამება 302-ე ქვეთავს,

თავსა და ბოლოში მოწყობილი ბაქნების თავისუფალი სიგანე უტოლდება პანდუსის სიგანეს, ბაქნების თავისუფალი სიგრძე აღემატება 1500 მმ-ს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 405.7 – 405.7.3 ქვეთავების მოთხოვნებს. ხოლო შუალედური ბაქნის თავისუფალი სიგრძე და სიგანე ტოლია - 1500-1500 მმ-ს;

- თითოეული პანდუსის სვლის ამაღლება უტოლდება 300 მმ-ს, რაც შესაბამისობაშია 405.6 ქვეთავთან.

- სადაც გზა-კარი პანდუსის ბაქნების მომიჯნავედ მდებარეობს, მანევრირებისათვის საჭირო თავისუფალი სივრცე გადადის ბაქნის ფართობზე, თუმცა აღნიშნული დასაშვებია 405.7.5 ქვეთავის შესაბამისად.

- ვინაიდან პანდუსების ამაღლება ცდება 150 მმ-ს, პანდუსებს ემსახურება სახელურები, რაც აკმაყოფილებს 405.8 ქვეთავის მოთხოვნებს. თავის მხრივ სახელურები შეესაბამება 505-ე ქვეთავს.

- პანდუსების კიდეები დაცულია ორივე მხარეს, რაც შეესაბამება 405.9 ქვეთავის მოთხოვნას. კიდეები დაცულია 100 მმ-იანი ბორდიურით, 405.9.2.1 ქვეთავის შესაბამისად.

4. შენობაში მოწყობილია 407 ქვეთავის შესაბამისი მისაწვდომი სამგზავრო ლიფტი.

ლიფტი, რომელიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია უნდა შეესაბამებოდეს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს და ASME A17.1/CSA B44 სტანდარტს. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპისათვის შერჩეული არ არის ლიფტის ზუსტი სახეობა და არ არის დადგენილი ლიფტის ზუსტი სპეციფიკაციები, წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე შეფასდა 408-ე ქვეთავის ძირითადი მოთხოვნებთან შესაბამისობის საკითხი (408-ე ქვეთავის მოთხოვნები სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული ლიფტის სახეობის და მწარმოებელი კომპანიის შერჩევისას, აღნიშნული კომპანიის მიერ ლიფტის სპეციფიკაციის და პარამეტრების დაზუსტებისას და ლიფტის დამონტაჟებამდე, პროექტში ასახული შენიშვნების შესაბამისად):

- ლიფტის კაბინის ზომები 2300 X 1200 მმ-ია. კარი მდებარეობს ცენტრში და მისი თავისუფალი ღიობის სიგანე მეტია 90 მმ-ზე, რაც შესაბამისობაშია 407.4.1 ცხრილის მოთხოვნებთან;

ადგილის და შენობის ელემენტები:

1. საპროექტო მიწის ნაკვეთზე მისაწვდომი ავტოსადგომი სივრცეების რაოდენობა და ტიპი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი ავტოსადგომისადმი მოთხოვნები კი

შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის გასაჩერებელი სივრცის სიგანე უტოლდება 2500 მმ-ს, ხოლო მიკროავტობუსის - 3500 მმ-ს, რაც პასუხობს 502.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელი სივრცე დახაზულია, თანახმად 502.3 ქვეთავისა.
- მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის გასაჩერებელ სივრცეს ესაზღვრება მისაწვდომი გასავლელი. მისაწვდომი გასავლელი ესაზღვრება მისაწვდომ სვლაგეზს. მისაწვდომი გასავლელი არ ფარავს საავტომობილო გზას. მისაწვდომი სვტოსადგომების გასაჩერებელი სივრცის მისაწვდომი გასავლელის სიგანე უტოლდება 1500 მმ-ს, ხოლო მათი სიგრძე გრძელდება იმ ავტოსადგომი სივრცის მთელ სიგრძეზე, რომელსაც ის ემსახურება. მისაწვდომი გასავლელები აღნიშნულია გრაფიკულად, გასავლელებში პარკინგის თავიდან ასაცილებლად. ყოველივე აღნიშნული აკმაყოფილებს 502.4 – 502.4.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომი სივრცეები და მისაწვდომი გასავლელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და მათი ზედაპირებები არ არის 1:48-ზე მეტად დახრილი. მისაწვდომი გასავლელები იმ ავტოსადგომი სივრცის დონეზე მდებარეობდეს, რომლისთვისაც ის განკუთვნილია, რაც შეესაბამება 502.5 ქვეთავის მოთხოვნას.
- მიკროავტობუსისათვის განკუთვნილი სივრცის შვეული თავისუფალი სივრცე აკმაყოფილებს 2500 მმ თავისუფალი სიმაღლის მინიმალურ მოთხოვნას.
- მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებს ემსახურება ნიშანი, რომელიც შეიცავს 703.6.3.1 ქვეთავის შესაბამის მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოს და მიკროავტობუსის ავტოსადგომისათვის ასეთი ნიშანი დამატებით შეიცავს წარწერას - „მისაწვდომია მიკროავტობუსებისთვის“/“VAN ACCESSIBLE”. ასეთი ნიშნების ქვედაპირი მდებარეობს ავტოსადგომი სივრცეებს იატაკიდან არაუმცირეს, 1500 მმ სიმაღლეზე. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 502.7 ქვეთავის მოთხოვნას.
- მისაწვდომი ავტოსადგომებისათვის განკუთვნილი გასაჩერებელი სივრცეები და ამ სივრცეების მომსახურე მისაწვდომი გასასვლელები არ ხერგავს მომიჯნავე მისაწვდომი სვლაგეზებისათვის განკუთვნილ აუცილებელ თავისუფალ სიგანეს, რაც აკმაყოფილებს 502.8 ქვეთავის მოთხოვნას.

2. საპროექტო შენობაში მისაწვდომი კიბეების ვალდებულების საკითხი დარეგულირებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი მისაწვდომი კიბისადმი მოთხოვნები ასევე შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-5 თავის დებულებებს, კერძოდ:

- კიბის მარშის ყველა საფეხურს აქვს თანაბარი სიმაღლის ამაღლებები და თანაბარი სიღრმის საბიჯელები. კიბის ამაღლების სიმაღლე უტოლდება 17 მმ და საბიჯელების სიღრმე განსაზღვრულია 280 მმ-ის სახით, რაც შეესაბამება 504.2 ქვეთავს.

- კიბის მარშის საზღვრებში არ არის მოწყობილი ღია შუბლები, რაც შეესაბამება 504.3 ქვეთავს.
- საფეხურის საბიჯელები შეესაბამება 302-ე ქვეთავს და დაქანება არ არის 1:48-ზე მეტი.
- კიბის ყოველი საფეხურის და საბიჯელის 40 მმ სავალ ნაწილს, რომელიც იზომება საფეხურის ნაშვერიდან თარაზულად, აქვს ერთგვაროვანი ფერის მქონე ზედაპირი, რომელიც საფეხურის დანარჩენი ნაწილისგან მკვეთრად განსხვავებულია (მუქი ღია ფონზე). ხილვადი კონტრასტი გრძელდება ყოველი საფეხურის ერთი კიდიდან საფეხურის მეორე კიდემდე.
- კიბის საზღვრებში მოწყობილია 505-ე ქვეთავის შესაბამისი სახელურები.
- ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით შექმნილი, ნიშანი, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“ გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან არის განთავსებული და ასეთივე ნიშანი განთავსებულია კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან. აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია 703.3 და 703.4 ქვეთავების შესაბამისი ნიშნები. სართულის აღმნიშვნელი ნიშანი ამობურცულია და იგი გამეორებულია ბრაილში, თანახმად 703.3.1 ქვეთავისა. ბრაილის ტექსტი შეესაბამება 703.4 ქვეთავს. ასევე აღსანიშნავია, რომ ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანი განთავსებულია კარის გასწვრივ საკეტიან მხარეს. ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშნები ისეა განთავსებული, რომ კარის 45 გრადუსით გაღებისას, ნიშნის წინ შენარჩუნებულია 450X450 მმ იატაკის თავისუფალი სივრცე, თანახმად 703.3.11 ქვეთავისა.

3. მისაწვდომ ოთახებსა და სივრცეებში ასევე სავაჭრო ფართში თითო ფანჯარა, ასევე ფანჯრები რომლებიც გამოიყენება ბუნებრივი განიავებისთვის ან საავარიო და საევაკუაციო გასასვლელისათვის შეესაბამება 506-ე ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:

- ფანჯრებთან მისადგომად უზრუნველყოფილია 305-ე ქვეთავის იატაკის თავისუფალი სივრცე, 760 მმ X 1300 მმ-ის სახით.
- ფანჯრების სამართავებია განთავსებულია 308-ე ქვეთავის შესაბამის მისაწვდომი დიაპაზონის ფარგლებში, სამართავთან წინიდან მისაწვდომი სიმაღლე იატაკიდან არაუმცირეს 380 მმ-სა და არაუმეტეს 1200 მმ-ზეა განთავსებული.

წყალსადენის ელემენტების და მოწყობილობების შეფასება:

1. **საპროექტო სავაჭრო ფართში განთავსებული ტუალეტები შეესაბამება 603 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - ტუალეტის ოთახებში უზრუნველყოფილია მოსატრიალებელი სივრცე, რაც შეესაბამება 603.2.1 ქვეთავის მოთხოვნას.
   - ტუალეტის ოთახების კარის გაღებისას, ისინი არ იჭრებიან მოწყობილობებისათვის განკუთვნილ იატაკის თავისუფალ სივრცეებში, რაც შეესაბამება 603.2.2 ქვეთავს.
   - შენობაში მოწყობილ მისაწვდომი ტუალეტის ოთახებში, უნიტაზთან გათვალისწინებულია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავით დადგენილ მინიმალურ ზომებს.

2. **სავაჭრო ფართის ტუალეტის ოთახებში განთავსებული უნიტაზები შეესაბამება 604 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - უნიტაზი განთავსებულია კედელთან ახლოს და უნიტაზის ცენტრიდან კედლის ზედაპირამდე მანძილი განსაზღვრულია 450 მმ-ით, რაც შეესაბამება 604.2 ქვეთავის მოთხოვნას.
   - უნიტაზთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე 1400 მმ სიღრმისა და 1500 მმ სიგანის სახით, სადაც არ იჭრება რაიმე სახის დეტალი, რაც აკმაყოფილებს 604.3 ქვეთავის მოთხოვნას.
   - უნიტაზის დასაჯდომის სიმაღლე განთავსებულია 450 მმ-ზე იატაკის ზედაპირიდან, რაც შეესაბამება 604.4 ქვეთავს.
   - უნიტაზთან მოწყობილია ხელჩასაჭიდი ძელები 604.5 ქვეთავის მოთხოვნების დაცვით.
   - უნიტაზთან მოწყობილი ძელები შეესაბამება 609 ქვეთავის მოთხოვნებს.
   - მისაწვდომი უნიტაზები უზრუნველყოფილია 309 და 604.6 ქვეთავების მოთხოვნების შესაბამისი ჩარეცხვის სამართავებით.
   - მისაწვდომ ტუალეტებში მოწყობილი ქაღალდის დისპანსერები აკმაყოფილებს 604.7, 309.4 და 609.3 ქვეთავების მოთხოვნებს.

3. **სავაჭრო ფართის ტუალეტის ოთახებში მოწყობილი ხელსაბანები შეესაბამება 606 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

   - ხელსაბანთან მოწყობილია იატაკის თავისუფალი სივრცე, 606.2 და 305.3.1 ქვეთავების შესაბამისად.
   - ხელსაბანის განთავსების სიმაღლე შესაბამისობაშია 606.3 ქვეთავის მოთხოვნასთან.

საკომუნიკაციო ელემენტები და ფუნქციები:

- საპროექტო შენობაში დაკმაყოფილებულია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების მოთხოვნები შენობებში მისაწვდომობის ნიშნების მოწყობისა და ადგილმდებარეობის თაობაზე და ყველა ასეთი ნიშანი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მოთხოვნებს, კერძოდ ნიშნები მოწყობილია ქვემოთ ჩამოთვლილ ადგილებში:

- გასასვლელის გზა-კიბეში შესასვლელ ყველა კართან, კიბის უჯრედიდან გარეთ გამავალ კართან და 0.00 ნიშნულზე გარეთ გამავალ ყველა კართან მოწყობილია ნიშანი ამოწეული სიმბოლოებითა და ბრაილის ასოებით, წარწერით - „გასასვლელი/EXIT“. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- სართულის ამოსაცნობად, შიგა გასასვლელის გზაკიბის საზღვრებში, თითოეული სართულის ბაქანთან, დერეფანში გამავალი კარის მომიჯნავედ განთავსებულია იატაკის დონის ამოსაცნობი ნიშანი. **აღნიშნული ნიშანი შეესაბამება 703.3 და 703.4 ქვეთავების მოთხოვნებს, ამობურცულ სიმბოლოებსა და ბრაილთან მიმართებაში.**

- თითოეულ კარზე, რომელიც უზრუნველყოფს მისაწვდომს თავშესაფრის ფართობთან მომიჯნავე იატაკის ფართობიდან მოწყობილია ნიშანი წარწერით „თავშესაფრის ფართობი“, მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლოთი, **ასეთი ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავს ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით და ასეთი ნიშანი არის განათებული.**

- თავშესაფრის ფართობებზე განთავსებულია ნიშანი მითითებებით საგანგებო ვითარებაში ფართობის გამოყენების შესახებ. **ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.**

- თავშესაფრის ფართობებთან განთავსებულია ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, ორმხრივი კავშირის სისტემის საშუალებით დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა. **ასეთი ნიშნები სავალდებულო არაა აკმაყოფილებდეს ამობურცული სიმბოლოებისა და ბრაილის მოთხოვნებს, თუმცა ნიშანი შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, ვიზუალურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.**

- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო მოწყობილია მისაწვდომი მსუბუქი ავტომობილის და მიკროავტობუსის ავტოსადგომ სივრცეებში. **ნიშანი შეესაბამება 703.6.3 და 703.2 ქვეთავებს.**

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ვიზუალური სიმბოლოები შეესაბამება 703.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - სიმბოლოებს ტრადიციული ფორმა აქვთ. სიმბოლოები არ არის დაწერილი იტალიკით, დახრილად, გაკრული შრიფტით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით.
  - სიმბოლოების ზომა, სიგანე, შტრიხის სიგანე, სიმბოლოებს და სტრიქონებს შორის დაშორება შეესაბამება 703.2.4 – 703.2.8 ქვეთავების მოთხოვნებს.
  - ვიზუალური სიმბოლოების იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.2.4 ცხრილს.
  - სიმბოლოებისა და მათი ფონის ზედაპირი არ კაშკაშებს. სიმბოლოები ფონისგან განირჩევა, ანუ სიმბოლო სიმბოლო მუქი ფერისაა, ფონი კი ღია ფერის, რაც შეესაბამება 703.2.10 ქვეთავის მოთხოვნას.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ამობურცული სიმბოლოები შეესაბამება 703.3 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ამობურცული სიმბოლოები უკანა სიბრტყიდან ამობურცულია 703.3.2 ქვეთავის შესაბამისად.
  - ლათინური სიმბოლოები ასახულია დიდი ასობგერებით, თანახმად 703.3.3 ქვეთავისა.
  - ლათინური სიმბოლოებისთვის გამოყენებულია „SANS SERIF“-ის ტიპის შრიფტი. სიმბოლოები არ არის შესრულებული იტალიკით, დახრილად, ხელნაწერის სახით, მეტისმეტად დეკორატიულად ან სხვა უჩვეულო ფორმით, თანახმად 703.3.4 ქვეთავისა.
  - შრიფტის ყველა სიმბოლოს დასაშვები სიმაღლე, სიგანე, სიმბოლოებს შორის დაშორება, სტრიქონებს შორის დაშორება განსაზღვრულია 703.3.5 – 703.3.9 ქვეთავების შესაბამისად.
  - სიმბოლოების იატაკის დონიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.3.10 ქვეთავის მოთხოვნას.
  - ამობურცული სიმბოლოების და ბრაილის შემცველი ნიშანების განთავსების არეალები შეესაბამება 703.3.11 ქვეთავის მოთხოვნებს.
  - სიმბოლოები ფონისგან განირჩევა (მუქი ფერის სიმბოლოებს ღია ფერის ფონი აქვთ), თანახმად 703.3.12 ქვეთავისა.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული ბრაილი შეესაბამება 703.4 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - ნიშნებზე გამოყენებულია მე-2 ხარისხის ბრაილი, თანახმად 703.4.1 ქვეთავისა.
  - ბრაილის წერტილებს აქვს გუმბათისებური ფორმა და ისინი უნდა შეესაბამება 703.4.3 ცხრილს.

- ბრაილის განთავსების პოზიცია შეესაბამება 703.4.4 ქვეთავს.
- ბრაილის იატაკიდან განთავსების სიმაღლე შეესაბამება 703.4.5 ქვეთავს.

- **ზემოაღნიშნულ ნიშნებში გამოყენებული მისაწვდომობის სიმბოლო შეესაბამება 703.6 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:**

  - მისაწვდომობის სიმბოლოები მკვეთრად განირჩევა ფონისგან, ანუ მუქი ფერის სიმბოლო მოწყობილია ღია ფერის ფონზე, თანახმად 703.6.2 ქვეთავისა.
  - მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო შეესაბამება 703.6.3.1 სურათს.
  - მისაწვდომობის სიმბოლოები და მათი ფონები არ არის ამრეკლავი.

მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეულები:

1. **საპროექტო შენობაში „ა“ და „ბ“ ტიპის ერთეულების რაოდენობებისადმი მოთხოვნა დადგენილია საქართველოს მთავრობის 28.01.2016 წლის #41-ე დადგენილების საფუძველზე. ასეთი ერთეულებისადმი მოთხოვნები კი შეესაბამება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს მე-11 თავის დებულებებს, კერძოდ:**

   „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:

   - „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1103.2 ქვეთავისა.
   - ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1103.3.1 ქვეთავს.
   - ყველა ოთახში, რომელსაც მისაწვდომი სვლაგეზი ემსახურება, უზრუნველყოფილია ეტლის მოსატრიალებელი სივრცე. თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.
   - მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.3 ქვეთავისა.
   - სავალი ზედაპირები, რომლებიც მისაწვდომი სვლაგეზის ნაწილია, შეესაბამება 403-ე ქვეთავს.
   - ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი და ყველა სხვა გზა-კარი, რომელშიც დამკავებელმა უნდა გაიაროს, შეესაბამება 404-ე ქვეთავს.
   - ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.
   - სარეცხი მანქანა შეესაბამება 611-ე ქვეთავს.
   - ერთეულში მოწყობილი ტუალეტი აკმაყოფილებს 1103.11.2 ქვეთავის მოთხოვნებს, კერძოდ:
     - ✓ ხელჩასაჭიდი ძელების სამომავლო მოწყობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

- ✓ მისაწვდომი მოწყობილობები მდებარეობდეს ერთ ტუალეტის/სააბაზანოს ფართობზე.
- ✓ გაღებისას კარი არ იჭრება იატაკის თავისუფალ სივრცეში ან მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
- ✓ ხელსაბანები შეესაბამება 606-ე ქვეთავს.
- ✓ უნიტაზი შეესაბამება 1103.11.2.4 ქვეთავს.
- ✓ აბაზანა შეესაბამება 607-ე ქვეთავს.
- ✓ სამზარეულოები შეესაბამება 1103.12 ქვეთავს.

<u>„ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეული:</u>

- „ბ“ ტიპის ერთეულებში მოწყობილი იატაკის თავისუფალი სივრცე შეესაბამება 1104.1.1 ქვეთავს და უტოლდება 760მმ X 1200მმ-ს.
- „ბ“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულის მთავარი შეესასვლელი არ არის საძინებელი ოთახი, თანახმად 1104.2 ქვეთავისა.
- ყველა სივრცესა და ელემენტს, რომლებიც ერთეულის ნაწილია, აკავშირებდეს ერთი მისაწვდომი სვლაგეზი. მისაწვდომი სვლაგეზი ემთხვევა მთავარ მიმოსვლის ბილიკს, თანახმად 1104.3.1 ქვეთავისა.
- მისაწვდომი სვლაგეზის კომპონენტად განსაზღვრულია სავალი ზედაპირი, რომელიც არ არის 1:20-ზე მეტად დახრილი, თანახმად 1103.3.2 ქვეთავისა.
- მისაწვდომი სვლაგეზის თავისუფალი სიგანე შეესაბამება 403.5 ქვეთავს.
- ერთეულის მთავარი შესასვლელის კარი შეესაბამება 404-ე ქვეთავს.
- ერთეულის საზღვრებში არსებული ყველა კარი შეესაბამება 1104.5.2.1 ქვეთავის მოთხოვნას, კერძოდ ყველა კარის სუფთა სიგანე არ არის 820 მმ-ზე ნაკლები.
- ზღურბლები შეესაბამება 303-ე ქვეთავს.
- სარეცხ მანქანასთან გათვალისწინებულია პარალელური მისაწვდომი თავისუფალი სივრცე, თანახმად 1104.10.1 ქვეთავისა.
- ტუალეტისა და აბაზანის მოწყობილობები შეესაბამება 1104.11 ქვეთავს, კერძოდ:
  - ✓ კარი არ იჭრება მოწყობილობასთან არსებულ თავისუფალ სივრცეში.
  - ✓ ხელსაბანები შეესაბამება 1104.11.3.1 ქვეთავს.
  - ✓ უნიტაზი შეესაბამება 1104.11.3.1.2 ქვეთავს.
  - ✓ აბაზანები შეესაბამება 1104.11.3.1.3.1 და 1104.11.3.1.3.2 ქვეთავებს.
  - ✓ სამზარეულოები შეესაბამება 1104.12 ქვეთავს.

შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა 71-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.20.004.062) დაპროექტებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მისაწვდომობის პროექტი შესაბამისობაშია ტექნიკური რეგლამენი - „მისაწვდომობის ეროვნული სატანდარტები“-ს მოთხოვნებთან.

ასევე ვადასტურებთ, რომ მისაწვდომობის პროექტი შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე.

მისაწვდომობის პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტები:
ირინე ანთელავა

თარიღი: 08.12.2023
ხელმოწერა:




დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი
TBILISI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
20.12.2011
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 03/11
სფს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGE011IB10908901024069615<<<<
9005112F2112208GE0<<<<<<<<<<<2
ANTELAVA<<IRINE<<<<<<<<<<<<<<


Georgia
IDENTITY CARD
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ირინე
IRINE
გვარი / LAST NAME
ანთელავა
ANTELAVA
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024069615
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
11.05.1990
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
20.12.2021
გარათის No / CARD No
11IB10908
ხელმოწერა
SIGNATURE

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
არქიტექტურის სამსახური

აქტი:**ა60.01191301**
თარიღი:**10/05/2019**
პინი:**8695**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ცნობა

ეძლევა ირინე ანთელავას (პ/ნ 01024069615) მასზედ, რომ იგი 2011 წლის 22 თებერვლიდან 2011 წლის 29 სექტემბრამდე გადიოდა სტაჟირებას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის სანებართვო დეპარტამენტის I და II კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილებაში, 2011 წლის 29 სექტემბრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე მუშაობდა სამსახურის დამხმარე ტექნიკური პერსონალის თანამდებობაზე (I და II კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილება), 2012 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 26 იანვრამდე მუშაობდა სანებართვო დეპარტამენტის III და IV კლასების შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების სპეციალისტის თანამდებობაზე, ხოლო, 2018 წლის 26 იანვრიდან 2019 წლის 06 მაისამდე მუშაობდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის III და IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლება საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თამარ გვიჩიანი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსის მოადგილე (სამართლებრივ და ადმინისტრაციულ საკითხებში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი